წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომა
ბატონ: თემურ ღვინჯილიას

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების
სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერ

ვალიდა კონჯარია
კახა კვარაცხელია
მაკა კვირკვაია

პ ე ტ ი ც ი ა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოასპარეზე მაღ
სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენთა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნ
მათი მოტივაციის, ზოგადად სპორტის ხელშეწყობის და ცხოვრების ჯანსაღი წე
პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოქმედებდეს (მსგავ
სხვა მუნიციპალიტეტებისა) სპორტის სხვადასხვა სახეობაში მუნიციპალიტეტის სახელ
მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენთა და მ
მწვრთნელებისათვის ფულადი ჯილდოების გაცემის წესი და ოდენობები.
ზემოთქმულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ ნორმატიული ადმინისტრაციო
სამართლებრივი აქტის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენებისა
მათი მწვრთნელების წახალისების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტს
მოგმართავთ საკრებულოს სხდომაზე განხილოთ და დაამტკიცოთ.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორ
   ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.
3. მოსამზადებელი ნორმატიული აქტის (დადგენილების) პროექტი

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ვალიდა კონჯარია
2. კახა კვარაცხელია
3. მაკა კვირკვაია

პეტიციის წარდგენის თარიღი: 05 ოქტომბერი 2017 წელი

05 ე-68
10 7

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2017 წლის 03 ოქტომბერი
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების წესი და ოდენობა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2
დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით
წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების წესი და ოდენობა

მუხლი 1
1. წინამდებარე წესი არეგულირებს წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთვნელების წახალისების და სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა კატეგორიებს, მათ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებსა და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.
2. დაფინანსების საბიუჯეტო პროგრამის დასრულების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბერი.

1. ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცემათ შემდეგი კატეგორიის სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს, შემდეგი ოდენობით:

ა) სპორტსმენს რომელიც მიმდინარე წელს გახდა/გახდება საქართველოს ჩემპიონი სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში, გადაეცემა ერთჯერადი ფულადი ჯილდო 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

ბ) სპორტსმენს რომელიც მიმდინარე წელს გახდა/გახდება საქართველოს მეორე ადგილის პრიზიორი სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში, გადაეცემა ერთჯერადი ფულადი ჯილდო 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

გ) სპორტსმენს რომელიც მიმდინარე წელს გახდა/გახდება საქართველოს მესამე ადგილის პრიზიორი სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში, გადაეცემა ერთჯერადი ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დ) სპორტსმენს რომელიც მიმდინარე წელს გახდა/გახდება საქართველოს ჩემპიონი სპორტის გუნდურ სახეობაში, გადაეცემა ერთჯერადი ფულადი ჯილდო 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ე) სპორტსმენს რომელიც მიმდინარე წელს გახდა/გახდება მსოფლიოს ჩემპიონი სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში, გადაეცემა ერთჯერადი ფულადი ჯილდო 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, ევროპის ჩემპიონს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

ვ) სპორტსმენს, რომელიც მიმდინარე წელს გახდა/გახდება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ადგილის პრიზიორი სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში, გადაეცემა ერთჯერადი ფულადი ჯილდო 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო მესამე ადგილის პრიზიორს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

ზ) სპორტსმენთა მწვრთნელებს (პირველი მწვრთნელი) წახალისების სახით მიეცეთ ერთჯერადი ფულადი ჯილდო (პრემია) სპორტსმენისთვის განსაზღვრული ფულადი ჯილდოს ნახევრის ოდენობით.

მუხლი 3

1. გადაწყვეტილებას ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გაცემის თაობაზე იღებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი.

2. ერთჯერადი ფულადი ჯილდოს მიღების მსურველმა პირმა უნდა წარუდგინოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორს განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება ნაჩვენები სპორტული შედეგი და ამ წესის მეორე მუხლით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობა.

მუხლი 4

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.